

F-171
1978

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



ბრძანებულება და ინსტრუქციები
კ რ ე ბ უ ე რ ი

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

№ 10

ოქტომბერი — ОКТЯБРЬ



საქართველოს სსრ

განათლების სამინისტროს

1978 წლის 3 ოქტომბრის

ბრძანება № 648

ნორჩ ფიზიკოსთა XXXI რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

1977—1978 სასწავლო წელს ნორჩ ფიზიკოსთა XXXI რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო სარაიონო და საქალაქო ოლიმპიადებში გამარჯვებულმა VII—X კლასების 2600 ნორჩმა ფიზიკოსმა. რესპუბლიკურ დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად წარმოგზავნილ იქნა 450 მოსწავლე, რომელთაგან რეცენზირების შემდეგ 249 მოსწავლეს მონაწილეობის უფლება მიეცა რესპუბლიკურ დასკვნით ტურში. თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით რესპუბლიკურმა ყიურომ გამარჯვებულად ცნო 65 ნორჩი ფიზიკოსი, მათგან ნორჩ ფიზიკოსთა XII საკავშირო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ იქნა 4 მოსწავლე, რომელთაგან გაიმარჯვა ორმა — თელავის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე მ. კოჭრიძემ და თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე ლ. კაკაბაძემ.

ოლიმპიადისთვის უკეთ მოემზადნენ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, აგრეთვე ასპინძის, გარდაბნის, მარნეულის, ახალციხის, ბოლნისის, დმანისის, მახარაძის, თელავისა და ჩოხატაურის რაიონების განათლების განყოფილებები, სკოლის დირექტორები და ფიზიკის მასწავლებლები, რომელთა აღსაზრდელებმა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ჭიათურის, ამბროლაურის, ახალქალაქის, დუშეთის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, ცაგერის, ცხაკაიას, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილების მუშაკები, სკოლების დირექტორები და ფიზიკის მასწავლებლები ჯეროვან დაინტერესებას არ იჩენენ მოსწავლეთა საფუძვე-

ქ. მარჯის საბ. ხაჯ. სსრ
განათლების სამინისტროს

ლიანი ცოდნით შეიარაღების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის, ფიზიკის სწავლებაში მათი მაქსიმალურად გამოყენების და აგრეთვე ფაკულტატიური მეცადინეობისა და კლასგარეშე სხვა მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ამის შედეგია, რომ აღნიშნული რაიონების VII—X კლასის 63 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა გამარჯვება დასკვნით ტურში.

ადგილზე შექმნილი რაიონული საორგანიზაციო კომიტეტების ნაწილი ჯეროვან მომთხოვნელობას არ უყენებს მოსწავლეებს, სათანადო კონტროლს არ აწესებს ოლიმპიადის მზადებასა და მიმდინარეობაზე, ლიბერალობას იჩენს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების დროს და დასკვნით ტურზე გზავნის დაბალი მომზადების მოსწავლეებს, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ ფიზიკის ექსპერიმენტის ტექნიკას და არ შესწევთ უნარი ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნისა.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ექსპერიმენტულ ტურზე დაშვებული მე-10 კლასის 16 მოსწავლიდან მაქსიმალური 2 ქულა დაიმსახურა 6-მა მოსწავლემ.

ნორჩ ფიზიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო, რაიონული, (საქალაქო) ზონალური და რესპუბლიკური დასკვნითი ტურების ორგანიზებულად და მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნორჩ ფიზიკოსთა XXXI რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 65 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის სიგელით—7 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით—14 და III ხარისხის სიგელით — 44 მოსწავლე.

2. მიმდინარე, 1978—1979, სასწავლო წელს ჩატარდეს ნორჩ ფიზიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადა ოთხ ტურად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური (დასკვნითი). პირველი სასკოლო ტური ჩატარდეს 1978 წლის 25 დეკემბრამდე, მეორე რაიონული (საქალაქო) ტური — 1979 წლის 15 იანვრამდე, მესამე ზონალური ტური — 1979 წლის 11 თებერვალს, ხოლო დასკვნითი რესპუბლიკური ტური კი ორ ეტაპად (თეორიული და ექსპერიმენტული) — 1979 წლის 18 და 19 მარტს.

3. ნორჩ ფიზიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

- ცინცაძე ნ. ლ. — საქართველოს სსრ მენციერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.
- გახელაძე რ. ლ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე
- ბარაღულინა თ. ა. — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პიონერთა განყოფილების ინსტრუქტორი
- ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი
- გამცემლიძე ზ. ე. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგე, დოცენტი
- მაჩაბელი ი. ს. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი
- ჩაკაბერია ბ. ი. — ვაგრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე
- კიკნაძე ჯ. ს. — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი
- კუდავა კ. კ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი
- მნათობიშვილი ლ. ს. — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე
- ტონია ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
- დონლაძე დ. ვ. — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე, დოქტორი

- ჩუკოვი ვ. მ. — ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი
- ხაზარაძე ო. ს. — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, დოცენტი
- ხვითარია კ. ე. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი
- ბაჩილავა მ. ი. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელიობითი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

4. ძალაში დარჩეს ნორჩ ფიზიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის 1977 წლის დებულება.

5. დაევალოს ოლიმპიადის ჩამტარებელ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ბ) პერიოდულად მოიწვიოს კომიტეტის სხდომები და მოისმინოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხები, დასახოს ქმედითი ღონისძიებები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ვანათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ფიზიკის მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული სექციების სხდომებზე განიხილონ და დასახონ ღონისძიებანი ნორჩ ფიზიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ბ) განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ოლიმპიადის რაიონული და ზონალური ტურის ჩატარებაზე.

გ) მიაღწიონ ფიზიკის ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობას. ამ მიზნით ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას. სკოლებში, პიონერთა და მოსწავლეთა



სასახლეებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჩამოაყალიბონ ნორჩ ფიზიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის სატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას.

7. რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა შეარჩიონ ფიზიკით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნაზე, მიაჩვიონ მოსწავლეები დამოუკიდებელ მუშაობას. მაქსიმალურად გამოიყენონ ფიზიკის ოლიმპიადები მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის, მათი პოლიტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებისა და დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების განვითარებისათვის.

8. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე ფიზიკის ოლიმპიადებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მომზადებაში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების აქტიური მონაწილეობის შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1979 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ ფიზიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1979 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის საწერი ქაღალდი.

11. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე და გ. საჯაია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

12. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. რ. გახელაძეს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მინისტრის მოადგილე უზ. ოგოლაძე

ГРУЗИНСКАЯ ССР
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ

ПРИКАЗ № 643

3 октября 1978 г.

О результатах XXXI Республиканской олимпиады юных физиков и проведении XXXII Республиканской олимпиады

В 1977—1978 учебном году в зональном туре XXXI Республиканской олимпиады юных физиков принимали участие 2.600 юных физиков VII-X классов, одержавших победу на районном и городском турах. Из зон были представлены работы 450 учащихся. После рецензирования были допущены к зональному туру 249 учащихся. По результатам теоретического и экспериментального туров республиканское жюри победителями признало 65 юных физиков, из них для участия в XII Всесоюзной олимпиаде юных физиков было отобрано 4 ученика. Из них победили двое: ученик 8-го класса Телавской 2-ой средней школы М. Кожридзе и ученик 10-го класса физико-математической средней школы-интерната г. Тбилиси Л. Какабадзе.

К олимпиаде лучше подготовились отделы народного образования, директора и преподаватели физики Абхазской и Аджарской автономных республик, городов Тбилиси, Рустави, а также Аспиндзского, Гардабанского, Марнеульского, Ахалцихского, Болнисского, Дманисского, Махарадзевского, Телавского и Чохатаурского районов. Учащиеся этих зон обнаружили удволетворительные знания при решении задач олимпиады.

Работники отделов народного образования, директора школ и преподаватели физики Аджарской АССР, Юго-Осетинской А/О, Чиатурского, Амбролаурского, Ахалкалакского, Душетского, Зестафонского, Тетрицкаройского, Цагерского, Цхакаевского, Маяковского, Орджоникидзевого и других районов не проявляют должной заинтересованности к повы-





шению качества знаний учащихся, оснащению кабинетов и лабораторий, повышению уровня факультативных занятий и внеклассной работы по физике, и поэтому ни один из 63 учеников VII-X классов вышеуказанных районов не смог победить в заключительном туре.

Некоторые комиссии, созданные на местах, не предъявляют должных требований к учащимся, не контролируют подготовку и проведение олимпиады, проявляют либерализм при оценке работ учащихся и к заключительному туру допускают учащихся со слабой подготовкой, не владеющих техникой эксперимента по физике и не способных решать задачи экспериментального типа.

Об этом свидетельствует и тот факт, что из 19 учащихся X класса, допущенных к экспериментальному туру, два максимальных балла заслужили только 16 учащихся.

С целью организованного проведения XXXII Республиканской олимпиады юных физиков на высоком академическом уровне,

приказываю:

1. За успехи, достигнутые на XXXI Республиканской олимпиаде юных физиков наградить 65 учащихся, из них грамотой I степени — 7 учащихся, грамотой II степени — 14 и грамотой III степени — 44.

2. В текущем 1978—1979 учебном году провести XXXII Республиканскую олимпиаду юных физиков в четыре тура: школьный, районный (городской), зональный и республиканский (заключительный). Первый (школьный) тур провести до 25 декабря 1978 года, второй — районный (городской) тур до 15 января 1979 года, третий — зональный тур — 11 февраля 1979 года, а заключительный — Республиканский тур провести в два этапа (теоретический и экспериментальный) — 18 и 19 марта 1979 года.

3. Для руководства XXXII Республиканской олимпиады

юных физиков утвердить Республиканский организационный комитет в следующем составе:

1. Цинцадзе Н. Л. — заведующий отделом Института физики АН ГССР, профессор, председатель Организационного комитета
2. Гахеладзе Р. Л. — заместитель начальника Управления школ Министерства просвещения Грузинской ССР, заместитель председателя Оргкомитета
3. Бородулина И. А. — инструктор отдела ЦК ЛКСМ Грузии
4. Эпиташвили Г. Г. — директор Центральной станции юных техников Министерства просвещения Грузинской ССР, секретарь Организационного комитета
5. Гамцемлидзе З. Е. — заведующий кафедрой экспериментальной физики Тбилисского государственного университета, доцент
6. Мачабели И. С. — декан физического факультета Тбилисского государственного университета, доцент
7. Чакаберия Б. И. — заведующий Гагрским районным отделом народного образования
8. Кикнадзе Д. С. — преподаватель физики 47-ой средней школы г. Тбилиси
9. Кудава К. К. — преподаватель физики 23-ьей средней школы г. Тбилиси
10. Мнатобишвили Л. С. — заведующий Орджоникидзевским районным отделом народного образования г. Тбилиси
11. Тония С. К. — школьный инспектор Управления школ Министерства просвещения Грузинской ССР
12. Гонгадзе Д. В. — заведующий кафедрой физики Государственного политехнического института Грузинской ССР, доктор
13. Чуцков В. М. — доцент Тбилисского государственного педагогического института им. А. С. Пушкина
14. Хазарадзе О. С. — заведующий лабораторией Института педагогических наук им. Я. Гогешвили, доцент

15. Хвитария К. Э. — методист Центрального института усовершенствования учителей
16. Бачилава М. И. — старший инспектор Управления воспитательной работы Министерства просвещения Грузинской ССР.

4. Оставить в силе Положение о Республиканской олимпиаде юных физиков, утвержденное в 1977 году.

5. Республиканскому организационному комитету олимпиады:

а) составить план работы, руководить проведением олимпиады и о ходе проделанной работы периодически докладывать Министерству просвещения Грузинской ССР;

б) на заседаниях комитета заслушивать вопросы подготовки и олимпиаде.

6. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики:

а) на заседаниях городской и районной секций учителей физики рассмотреть план мероприятий по проведению XXXII Республиканской олимпиады юных физиков;

б) осуществить руководство и контроль за проведением районного и зонального туров олимпиады;

в) обеспечить вовлечение в олимпиаду юных физиков широкого круга учащихся. С этой целью уделить должное внимание внеклассной и внешкольной работе по данному предмету. В школах, дворцах пионеров и школьников, на станциях юных техников создать специальные группы юных физиков и для проведения занятий с ними подобрать наилучших преподавателей. Всесторонне способствовать повышению уровня теоретических знаний по физике и развитию практических навыков учащихся в процессе факультативных занятий.

7. Преподавателям физики 8-летних и средних школ подобрать учащихся, заинтересованных физикой и имеющих соответствующие способности, систематически проводить с ни-

ми занятия (решение теоретических и экспериментальных задач).

Олимпиады юных физиков максимально использовать для правильной профессиональной ориентации учащихся, повышения уровня их политехнических знаний и развития в них навыков самостоятельной работы.

8. Поставить вопрос перед Министерством высшего и среднего специального образования Грузинской ССР об активном участии вузов республики в подготовке учащихся общеобразовательных школ к олимпиаде юных физиков.

9. Планово-финансовому Управлению Министерства просвещения Грузинской ССР (тов. А. Квачадзе) в бюджете Центральной станции юных техников предусмотреть в 1979 году необходимые расходы для проведения XXXII Республиканской олимпиады юных физиков.

10. Главному Управлению снабжения и подсобных предприятий Министерства просвещения Грузинской ССР выделить Центральной станции юных техников писчую бумагу в необходимом количестве для проведения XXXII Республиканской олимпиады юных физиков.

11. Редакциям газеты «Сахалхо ганатлеба» и журнала «Скола да цховреба» (т. т. Н. Швелидзе и Г. Саджая) периодически публиковать материалы о ходе олимпиады.

12. Контроль за выполнением настоящего приказа возложить на заместителя начальника Управления школ тов. Р. Гахеладзе.

Основание: решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 29 сентября 1978 года.

Заместитель Министра

УШ. ОБОЛАДЗЕ



1978 წლის 3 ოქტომბრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 644

ნორჩ ქიმიკოსთა XXXI რესპუბლიკური ოლიმპიადის
შედეგებისა და XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის
ჩატარების შესახებ

1977—1978 სასწავლო წელს ჩატარებულ ნორჩ ქიმიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო სარაიონო (საქალაქო) ოლიმპიადებში გამარჯვებულმა რესპუბლიკის სკოლების VIII—X კლასების 2034 ნორჩმა ქიმიკოსმა, მათ შორის 809-მ სოფლის სკოლებიდან, გაცილებით მეტმა, ვიდრე წინა ოლიმპიადაში. მათგან დასკვნით ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 313 მოსწავლემ, მათ შორის 105-მა სოფლის სკოლებიდან. თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით რესპუბლიკურმა ჟიურიმ გამარჯვებულად ცნო 78 მოსწავლე.

ოლიმპიადისათვის უკეთ მოემზადნენ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისისა და ფოთის, თელავის და საგარეჯოს რაიონების სკოლები, რომელთა აღსაზრდელებმა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნისას დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს.

მაგრამ იგივე არ ითქმის ქ. ქ. გორსა და ზუგდიდზე, საჩხერის, გორის, აბაშის, ახალციხის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, ყვარლის, გეგჭკორის, თერჯოლის, სიღნაღის რაიონებზე, სადაც სახალხო განათლების განყოფილების მუშაკები, სკოლის დირექტორები და ქიმიის მასწავლებლები ჯეროვან დაინტერესებას არ იჩენენ საფუძვლიანი ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის, სწავლებაში მათი მაქსიმალურად გამოყენებისა და კლასგარეშე მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ამის შედეგია ის, რომ ოლიმპიადის ზონალურ ტურში ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ გაიმარჯვა დასახელებული ქალაქებიდან და რაიონებიდან.



ზოგჯერ ადგილებზე შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტები ჯეროვან მომთხოვნელობას არ უყენებენ მოსწავლეებს, სათანადო კონტროლის ქვეშ არ ატარებენ სასკოლო, სარაიონო და ზონალურ ტურებს, ლიბერალობას იჩენენ მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების დროს და დასკვნით ტურზე გზავნიან დაბალი მომზადების მოსწავლეებს.

ამაზე მეტყველებს ზონალური საორგანიზაციო კომიტეტების მიერ წარმოდგენილი 339 ნამუშევრიდან 107-სათვის ქულების ჩამოკლება, ნამუშევართა ნაწილის აშკარა ლიბერალურად შეფასების გამო.

დასკვნით რესპუბლიკურ ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა 30%-მა 10 შესაძლებლობიდან მხოლოდ 3 და ნაკლები ქულა დააგროვა. მათ არა თუ საოლიმპიადო, ჩვეულებრივი ტიპის და საშუალო სიძნელის ამოცანების ამოხსნის ცოდნა და ჩვევებიც კი არ აღმოაჩნდათ. ეს ითქმის ბათუმის მე-2, მე-4, 26-ე, თელავის 1-ელ, ზუგდიდის 1-ელ, ვანის რაიონის შუამთის, წალკის, მცხეთისა და ცხინვალის რიგი საშუალო სკოლების მოსწავლეებზე.

ნორჩ ქიმიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნორჩ ქიმიკოსთა XXXI რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 78 მოსწავლე, მათ შორის I-ლი ხარისხის სიგელით 3 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით 15 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით 60 მოსწავლე.

2. აღინიშნოს თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის (დრ.ც. ი. ბახტაძე) და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის (პროფ. გ. ცინცაძე) დახმარება ექსპერიმენტული ტურის ჩატარებაში.

3. 1978—1979 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ტურად: სასკოლო, რაიონული, ზონალური და რესპუბლიკური (დასკვნითი). სასკოლო ტური ჩატარდეს დეკემბერში, რაიონული — იანვარში, ზონალური — 18 თებერვალს, რესპუბლიკური 27, 28 და 29 მარტს. 27 მარტს ჩატარდეს თეორიული ტური, 29 მარტს — ექსპერიმენტული.

4. ოლიმპიადის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

- დარჩია მ. დ.** — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
- ლომსიანიძე ჯ. ა.** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე
- კახანაძე შ. გ.** — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგე, თავმჯდომარის მოადგილე
- გაგოშიძე ც. ჯ.** — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, კომიტეტის მდივანი
- ნადირაშვილი ნ. ჯ.** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა განყოფილების ინსტრუქტორი
- ბანძელაძე უ. გ.** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი
- ცინცაძე გ. ვ.** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი
- აღამია ს. ვ.** — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი
- ბახტაძე ი. გ.** — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, კათედრის გამგე



- დემეტარაძე ქ. ნ. — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი
- ეფიმოვა გ. ი. — თბილისის 33-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
- უნგიაძე კ. თ. — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე
- გოდერძიშვილი მ. ი. — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
- ჩალაგაშვილი ნ. პ. — ქ. თბილისის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
- გიგაური მ. ხ. — თბილისის ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქიმიის კაბინეტის გამგე.

4-4523

12009
576007

5. ძალაში დარჩეს ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის 1977 წელს დამტკიცებული დებულება;

6. ნორჩ ქიმიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) წინასწარ შედგენილი გტგმის მიხედვით სისტემატური ხელმძღვანელობა და დანმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში;

ბ) პერიოდულად მოიწვიოს კომიტეტის სხდომები და მოისმინოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხები, დასახოს ქმედითი ღონისძიებები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ ნორჩ ქიმიკოსთა XXXI რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ქიმიის მასწავლებელთა სექციის სხდომებზე და საჭირო ღონისძიებების დასახვა საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბ) მიაღწიონ ქიმიის ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწი-

ქ. შარქიას სახ. ს.ჭ. სსრ

ლეობას. ამ მიზნით ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე სკოლისგარეშე მუშაობას. სკოლებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჩამოაყალიბონ ნორჩ ქიმიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას. წახალისონ ქიმიის გაღრმავებული სწავლების შემოღება სკოლებში.

8. რვაწლიანი და საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლებმა შეარჩიონ ქიმიით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი რთული თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნაზე, მიაჩვიონ ბავშვები დამოუკიდებელ მუშაობას. მაქსიმალურად გამოიყენონ ქიმიის ოლიმპიადები მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის, მათი პოლიტექნიკური დონის ამაღლებისა და ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის ჩვევების განვითარებისათვის.

9. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე ქიმიის ოლიმპიადებისათვის ზოგადგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მომზადებაში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების აქტიური მონაწილეობის შესახებ.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) 1979 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი ნორჩ ქიმიკოსთა XXXII რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგემო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის 1979 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

12. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

13. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ან. რ. გახელაძეს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი ს მ ო ა დ გ ი ლ ე უ შ . ო გ ო ლ ა ძ ე



ГРУЗИНСКАЯ ССР
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ

ПРИКАЗ № 644

3 октября 1978 года

О результатах XXXI Республиканской олимпиады юных химиков и проведении XXXII Республиканской олимпиады

В 1977—1978 учебном году в зональном туре XXXI Республиканской олимпиады юных химиков принимали участие 2.034 юных химиков VIII-X классов школ республики. Из них 809 учащихся — сельских школ, сравнительно больше, чем в предыдущей олимпиаде. Право участия в заключительном туре получили 313 учащихся, из них 105 учащихся сельских школ. По результатам теоретического и экспериментального туров жюри победителями признало 78 учащихся.

К олимпиаде лучше подготовились школы городов: Тбилиси, Кутаиси и Поти, а также Телавского и Сагареджойского районов, воспитанники которых обнаружили удовлетворительные знания в решении задач олимпиады.

Но того же нельзя сказать о школах городов Гори и Зugdиди, Сачхерского, Горийского, Абашского, Ахалцихского, Лагодехского, Ахалкалакского, Кварельского, Гегечкорского, Терджольского, Сигнахского районов, в которых работники отделов народного образования, директора школ и преподаватели химии не проявляют должного интереса к овладению учащимися основательными знаниями, оснащению кабинетов и лабораторий, постановке внеклассной работы на высокий уровень и максимальному использованию в процессе обучения, в результате чего ни один из учащихся вышеуказанных городов и районов не смог победить в зональном туре.

В ряде случаев созданные организационные комитеты не предъявляют должной требовательности учащимся, не проводят под контролем школьный, районный и зональный туры,

проявляют либерализм при оценке работ учащихся и на заключительный тур посылают учащихся, не имеющих соответствующих знаний.

Об этом свидетельствует снижение баллов 107 учащимся из представленных зональными организационными комитетами 393 работ ввиду явно либеральной оценки части этих работ.

30% учащихся, допущенных на заключительный Республиканский тур из 10 возможных набрали только по 3 и меньше баллов. У них не оказалось достаточных знаний и навыков в решении не только задач олимпиадного, но и задач обычного типа и средней сложности. Это можно сказать об учащихся Батумской 2-ой, 4-ой, 26-ой, Телавской 1-ой, Зугдидской 1-ой и ряда средних школ — Ванского, Цалкского, Мцхетского и Цхинвальского районов.

С целью проведения XXXII Республиканской олимпиады юных химиков на высоком уровне,

приказываю:

1. За достигнутые успехи в XXXI Республиканской олимпиаде юных химиков наградить 78 учащихся, из них грамотой I степени — 3 ученика, грамотой II степени — 15 учащихся, грамотой III степени — 60 учащихся.

2. Отметить помощь кафедры химии (доцент И. Бахтадзе) Тбилисского государственного педагогического института им. А. С. Пушкина и кафедры общей и неорганической химии Тбилисского политехнического института имени В. И. Ленина (профессор Г. Цинцадзе) в проведении экспериментального тура.

3. В 1978—1979 учебном году XXXII Республиканскую олимпиаду юных химиков провести в четыре этапа: школьный, районный, зональный и Республиканский (заключительный). Школьный тур провести в декабре, районный — в январе, зональный — 18 февраля, Республиканский — 27, 28 и 29 марта.



27 марта провести теоретический тур, а 29 марта — экспериментальный.

4. Для руководства проведения олимпиады создать Республиканский организационный комитет в составе:

- Дарчия М. Д.** — Директор Центрального института усовершенствования учителей, председатель комитета
- Ломсианидзе З. А.** — школьный инспектор Министерства просвещения Грузинской ССР — заместитель председателя
- Капанадзе Ш. Г.** — заведующий кабинетом химии института усовершенствования учителей, заместитель председателя
- Гагошидзе Ц. Г.** — аспирант Научно-исследовательского института педагогики имени Я. Гогебашвили, секретарь комитета
- Надареишвили Н. Г.** — инструктор отдела ЦК ЛКСМ Грузии
- Бандзеладзе Ж. Г.** — старший инспектор управления воспитательной работы Министерства просвещения Грузинской ССР
- Цинцадзе Г. В.** — заведующий кафедрой общей и неорганической химии Тбилисского государственного политехнического института имени В. И. Ленина, профессор
- Адамия С. В.** — кандидат химических наук, доцент Тбилисского государственного университета
- Бахтадзе И. Г.** — кандидат химических наук, доцент Тбилисского Государственного педагогического института имени А. С. Пушкина, заведующий кафедрой
- Деметрадзе К. Н.** — старший научный сотрудник НИИ педагогических наук имени Я. Гогебашвили, кандидат педагогических наук
- Ефимова Т. И.** — учительница химии Тбилисской 33-ей средней школы
- Унгиадзе К. Т.** — Зав. химической лабораторией Центральной станции юных техников

Годерзишвили М. И. — учитель химии 4-ой средней школы г. Тбилиси

Чалагашвили Н. П. — школьный инспектор отдела народного образования г. Тбилиси

Гигаури М. С. — заведующий кабинетом химии Дворца пионеров и школьников им. Б. Дзедзедзе г. Тбилиси.

5. Оставить в силе Пожоление о Республиканской олимпиаде юных химиков, утвержденное в 1977 году.

6. Организационному комитету, проводившему XXXII Республиканскую олимпиаду юных химиков:

а) руководить и оказывать систематическую помощь школам и внешкольным детским учреждениям в деле подготовки и проведения олимпиады;

б) периодически созывать заседания комитета и заслушивать вопросы подготовки к олимпиаде, наметить действенные мероприятия по искоренению обнаруженных недостатков.

7. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим ОБЛ. ОНО Юго-Осетинской АО, городов и районов республики:

а) обеспечить рассмотрение результатов XXXI Республиканской олимпиады юных химиков на заседаниях секций преподавателей и наметить необходимые мероприятия по дальнейшему улучшению обучения этому предмету;

б) достигнуть широкого вовлечения учащихся в олимпиаду юных химиков. С этой целью должно внимание уделять внеклассной и внешкольной работам; в школах, дворцах пионеров и школьников и станциях юных техников сформировать специальные группы юных химиков, для занятий с ними подобрать наилучших преподавателей. Всесторонне способствовать повышению уровня теоретических и практических навыков учащихся за счет часов факультативного курса. Поощрять введение в школу углубленного обучения химии.

8. Преподавателям химии 8-летних и средних школ подобрать учащихся, заинтересованных этим предметом и име-



ющих соответствующие склонности, систематически проверять их знания по решению сложных теоретических и экспериментальных задач, приучить детей к самостоятельной работе. Максимально использовать олимпиады юных химиков для правильной профессиональной ориентации учащихся, повышения их политехнического уровня и развития навыков самостоятельного овладения знаниями.

9. Поставить вопрос перед Министерством высшего и среднего специального образования об активном участии вузов республики в подготовке учащихся общеобразовательных школ к олимпиаде юных химиков.

10. Главному управлению снабжения и подсобного хозяйства (тов. О. Кереселидзе) выделить Центральному институту усовершенствования учителей писчую бумагу в необходимом количестве для проведения XXXII Республиканской олимпиады юных химиков в 1979 году.

11. Планово-финансовому управлению Министерства просвещения Грузинской ССР (тов. А. Квачадзе) в бюджете ЦИУУ предусмотреть нужные для олимпиады расходы в 1979 году.

12. Редакциям газеты «Сахалхо Ганатлеба» и журнала «Скола да Цховреба» периодически публиковать материалы о ходе олимпиады.

13. Контроль за выполнением настоящего приказа возложить на заместителя начальника Управления школ Министерства просвещения Грузинской ССР тов. Р. Гахеладзе.

Основание: решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 29 сентября 1978 года.

Заместитель Министра

УШ. ОБОЛАДЗЕ

გენათმეცნიერების სამინისტროს

1978 წლის 8 ოქტომბრის

ბრძანება № 645

ნორჩ მათემატიკოსთა XXII რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და XXIII რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

XXII რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 6690 მოსწავლემ, მათ შორის 2190-მა სოფლის სკოლებიდან, საქალაქო (სარაიონო) ოლიმპიადაზე — 3700-მა მოსწავლემ, მათგან 1190-მა სოფლის სკოლებიდან.

რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მონაწილეობდა 240 მოსწავლე, მათგან გაიმარჯვა და I, II, III ხარისხის სიგელებით დაჯილდოვდა VIII-X კლასების 66 მოსწავლე.

1977/78 სასწავლო წელს რესპუბლიკის რიგმა სკოლებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს მათემატიკის სასკოლო, საქალაქო (სარაიონო), ზონალური და რესპუბლიკური ოლიმპიადებისათვის მოსამზადებლად, რამაც განაპირობა ის, რომ, როგორც ზონალურ, ისე რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, მათ მიერ წარგზავნილმა მოსწავლეებმა სასურველ შედეგებს მიაღწიეს.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე შედარებით უკეთესი მომზადება გამოამჟღავნეს ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, ქ. თბილისის 42-ე, ჭიათურის 1-ლი, მე-3 და ცხაკაიას მე-4 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

XII საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურში საქართველოს სსრ-დან წარგზავნილი 4 ყმაწვილიდან ვ. მ. კომაროვის სახელობის ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე მ. ამბროლაძემ III ხარისხის დიპლომ-მიიღო, ხოლო ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ა. სარჩიმელია I ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა. II ხარისხის სიგელები მიიღეს აგრეთვე ბ. მიდოლაშვილმა (ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი) და ბ. თარხნიშვილმა (თბილისის 42-ე საშუალო სკოლა).



ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად, ადგილებზე ოლიმპიადისათვის მზადების, მისი ჩატარების ორგანიზაციისა და რესპუბლიკური ტურისათვის სათანადო კონტინგენტის შერჩევის საქმეში ჯერ კიდევ არის გარკვეული ნაკლოვანებანი.

შეინიშნება, რომ ზოგჯერ ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ზონალური ტურის ჩატარებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების შემოწმება-შეფასებას. ამის შედეგად, რესპუბლიკურ ტურზე დასაშვებად ისეთი მოსწავლეები წარმოადგინეს, რომელთა ნამუშევრები არაობიექტურად იყო შეფასებული. მაგალითად, ბოლნისის ზონის საორგანიზაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე ი. გუსეინოვი) რესპუბლიკურ ტურზე დასაშვებად 32 მოსწავლე წარმოადგინა, რომელთა ნამუშევრების შემოწმებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მათგან 23 დაუმსახურებლად იყო შეფასებული 5 და მეტი ქულით.

დმანისის რაიონის კიზილკილისის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ს. მ. სულეიმანოვის ნამუშევარი 7 ქულით იყო შეფასებული, ნაცვლად 3 ქულისა, ბოლნისის რაიონის აბდალოს საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ე. გასანოვის ნამუშევარი კი — 8 ქულით, ნაცვლად 3 ქულისა. მსგავს დარღვევებს ქონდა ადგილი ბ. ა. მახმუდოვის (მარნეულის რაიონის მულანლოს საშუალო სკოლა), გ. მ. გასანოვის (ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა) და სხვა მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებაში. ანალოგიური ფაქტები გამოვლინდა რუსთავის ზონიდან წარმოდგენილი ნამუშევრების შემოწმებისას.

რუსთავის ზონის საორგანიზაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე ი. ფანჩვიძე) რესპუბლიკურ ტურზე დასაშვებად 50 მოსწავლე წარმოადგინა, რომელთა ნამუშევრების გადამოწმებით დადგინდა, რომ 26 ნამუშევარი ლიბერალურად იყო შეფასებული (ქ. რუსთავის მე-14 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ბ. გ. მირცხულავას ნაშრომი 5 ქულით იყო შეფასებული, ნაცვლად 1 ქულისა).

ოლიმპიადებისათვის მზადების, მათი ჩატარების ორგანიზაციისა და რესპუბლიკური ტურისათვის სათანადო კონტინგენტის შერჩევის საქმეში არადაამაკმაყოფილებლად იმუშავეს: ქ. რუსთავის, ადიგენის, ახალქალაქის, გარდაბნის, გეგეჭკორის, დმანისის, მარნეულის, მესტიის, მახარაძის, სიღნაღის, წალენჯიხის, წითელწყაროს

რაიონების სკოლებში.

მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მე-8 კლასის მოსწავლეთა 78,6%-მა ვერ გაართვა თავი მიცემულ დავალებას, ვერ გაერკვა დაყენებული საკითხების შინაარსშიც კი, მათ არ ესმით სიმრავლისა და სიმრავლეთა მიმდევრობის ცნება, ვერ ფლობენ სიმრავლეთა გაერთიანებისა და თანაკვეთის ოპერაციებს.

მე-9 კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ერკვევა აცდენილი წრფეების ცნებაში, არ იცის მოქმედებანი ვექტორებზე, წარმოდგენა არ აქვთ ფიგურათა შორის მანძილზე და სხვ.

მე-10 კლასის მოსწავლეთა ერთი ნაწილი მცდარ დასკვნებს აკეთებს მიმდევრობის მონოტონობის შესახებ, არასწორად ასრულებს გარდაქმნებს და სხვა.

ასეთებს მიეკუთვნებიან ახალქალაქის საშუალო სკოლა-ინტერნატის, სოხუმის მე-11, ცხინვალის რაიონის ბერულის, ცხაკაიას მე-3, თბილისის 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებიდან რესპუბლიკურ ტურზე მოსული 14 მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა, დანარჩენი 13-დან 9-მ 0 ან 1 ქულა მიიღო. ქ. რუსთავის სკოლებიდან ტურზე მოსული 14 მოსწავლიდანაც მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა, 10-მა 0 ან 1 ქულა მიიღო.

ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდება ზემოთ დასახელებული და სხვა რაიონებიდან წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ ჯერ არ დგას სათანადო სიმაღლეზე მათემატიკის საგნობრივი წრეების მუშაობა, სერიოზული ხარვეზები არსებობს ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების საქმეში.

საგულისხმოა, რომ 1977/1978 სასწავლო წელს XXII ოლიმპიადის სასკოლო, საქალაქო (სარაიონო), ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებზე, XXI და წინა ოლიმპიადებთან შედარებით, შემცირდა მონაწილე და გამარჯვებულ მოსწავლეთა რიცხვი, რაც, ძირითადად, იმით აიხსნება, რომ მიმდინარე წელს დამთავრდა მათემატიკის ახალი პროგრამებით სწავლებაზე გადასვლა, მასწავლებლებს არ აქვთ ტრადიცია და გამოცდილება მათემატიკის საგნობრივი

წრეების ახლებურად მუშაობისა, ჯერ კიდევ დაბალია მათი დიდი ნაწილის მომზადების დონე ახალი პროგრამებით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ და სხვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ზ:

1. XXII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 66 მოსწავლე და მათ შორის I ხარისხის სიგელით 8, II ხარისხის სიგელით 8, III ხარისხის სიგელით 50.

2. XXIII რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტური ჩატარდეს 1978 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო)-1979 წლის იანვარში, ზონალური-1979 წლის 25 თებერვალს, რესპუბლიკური — 1979 წლის 25 მარტს. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურის ზუსტი თარიღი განისაზღვროს შესაბამის განათლების განყოფილებათა მიერ.

3. ნორჩ მათემატიკოსთა XXIII ოლიმპიადის ხელმძღვანელებისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. გეგელია თ. გ. — საქართველოს სსრ-მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, (თავმჯდომარე)
2. გიორგობიანი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. მუსხერიძე ლ. შ. — ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი (მდივანი)
4. დარიბაშვილი რ. შ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერების განყოფილების გამგე
5. თოფურია ს. ბ. — ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი
6. ბალაბანოვი ი. შ. — პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის დოცენტი



7. ელიოზიშვილი ა. ვ. — შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური მეთოდ-კაბინეტის დირექტორი
8. ოვანიაძე რ. ო. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდური კაბინეტის გამგე
9. გაჭილაროვი ქ. ხ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
10. გოგხაძე დ. ი. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ტექნიკურ საშუალებათა მეთოდ-კაბინეტის მეთოდისტი
11. ლავგილავა ვ. ლ. — ქ. თბილისის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
12. გამსახურდია თ. ვ. — განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი
13. ცხაღია ა. ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორი
14. ლაღანიძე ო. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი
15. ხარაბაძე ე. გ. — მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

4. ძალაში დარჩეს ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება, დამტკიცებული 1977 წლის 15 აგვისტოს.

5. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეისწავლოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ დაიგზავნოს ადგილებზე.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ მათემატიკის XXII რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) უფრო მასიური გახადონ სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალურ ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობა, რისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე შობას, ფაქულტატიური და გალრმავებული სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს;

გ) მიაღწიონ მას, რომ საგნობრივი ოლიმპიადები ჩადგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების განხორციელების სამსახურში.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1979 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩასატარებლად.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს გამოუყოს ოლიმპიადის ჩასატარებლად საჭირო ქაღალდი.

9. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. რ. გახელაძეს.

10. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე მათემატიკის ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მომზადებაში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების აქტიური მონაწილეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მინისტრის მოადგილე

უ.შ. ოგოლაძე

ГРУЗИНСКАЯ ССР
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ
ПРИКАЗ № 645



3 октября 1978 г.

О результатах XXII Республиканской олимпиады юных математиков и мероприятиях по проведению XXIII Республиканской олимпиады

В школьном туре XXII Республиканской олимпиады юных математиков принимало участие 6.690 учащихся, из них 2.190 из сельских школ, в городской (районной) олимпиаде участвовало 3.700 учащихся, из них 1.190 из сельских школ.

В Республиканской олимпиаде принимало участие 240 учащихся, из них вышли победителями и награждены грамотами I, II, III степени 66 учащихся VIII-X классов.

В 1977/78 учебном году ряд школ республики провели серьезную работу для подготовки к школьной, городской (районной), зональной и Республиканской олимпиадам, что в свою очередь обусловило желаемые результаты, достигнутые учащимися этих школ как в зональном туре, так и на Республиканской олимпиаде.

На заключительном туре Республиканской олимпиады сравнительно хорошую подготовку выявили учащиеся физико-математической средней школы-интерната им. В. М. Комарова и 42-ой средней школы г. Тбилиси, 1-ой и 3-ей школ г. Чиатура и 4-ой средней школы г. Цхакая.

На заключительном туре XII Всесозной олимпиады юных математиков из 4 учащихся, посланных из Грузии, ученик IX класса физико-математической средней школы-интерната им. В. М. Комарова М. Амброладзе получил диплом III степени, а ученик X класса той же школы — А. Сарчимелия награжден грамотой I степени. Грамоты II степени получили так же Б. Мидодашвили (физико-математическая школа-интернат им. В. М. Комарова) и Б. Тархнишвили (42-я средняя школа г. Тбилиси).

Наряду с вышеизложенными успехами, в деле организации подготовки к олимпиаде на местах, её проведения и подбора соответствующего контингента для Республиканского тура все еще имеют место определенные недостатки.

Следует отметить, что иногда организационные комитеты зонального центра безответственно относятся к проведению зонального тура, проверке и оценке работ учащихся. В результате на Республиканский тур были допущены учащиеся, работы которых необъективно были оценены. Например, организационный комитет болнисской зоны (председатель И. Гусейнов) к допуску на Республиканский тур представил 32 школьника, в результате проверки работ которых было выявлено, что из них 23 работы были незаслуженно оценены на 5 и более баллов.

Работа учащегося VIII класса Кизил-Килисской средней школы Дманисского района С. Ш. Сулейманова вместо 3-х баллов оценена на 7, работа учащегося VIII класса Абдалойской средней школы Болнисского района В. Гасанова вместо 3-х баллов оценена на 8. Аналогичные нарушения имели место в оценке работ Б. А. Махмудова (Муганлойская средняя школа Марнеульского района), Г. М. Гасанова (Азербайджанская средняя школа Болнисского района) и другие. Аналогичные факты обнаружены при проверке работ, представленных из руставской зоны.

Организационный комитет руставской зоны (председатель И. Панчвидзе) к допуску на Республиканский тур представил 50 учащихся, при перепроверке работ которых установлено, что 26 работ либерально были оценены (работа учащегося X класса 14-ой средней школы г. Рустави Б. Г. Мирцхулава вместо 1 балла оценена на 5).

В деле подготовки к олимпиаде, организации её проведения и подбора соответствующего контингента для Республиканского тура неудовлетворительную работу провели школы г. Рустави, Адигенского, Ахалкалакского, Гардабанского, Ге-

гечкорского, Дманисского, Марнеульского, Махарадзевского, Сигнахского, Цаленджикского и Цителцкаройского районов



В результате анализа работ учащихся выявлено, что 78,6% учащихся восьмых классов не справилось с данными заданиями и даже не сумели разобраться в содержании поставленных вопросов, они не знают понятий множества и последовательности множества, не владеют операциями объединения и пересечения множеств.

